


კონვენსია გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერის პროტოკოლი შესრულებულია ქენევაში 1956 წლის 19 მაისს

*ტექსტი წარმოადგენს დოკუმენტის არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც განხორციელდა ბინგეს სამართლის
ეროვნული ცენტრის პროექტის - "საერთაშორისო კერძო სამართლის ქართულენოვანი ონლაინ ბაზის შექმნა", - ფარგლებში*.



პრეამბულა

ხელშემკვრელი მხარეები, ითვალისწინებენ რა იმ პირობათა ერთიანი სტანდარტის შემუშავების საჭიროებას, რომლებიც არეგულირებენ გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებას, კერძოდ ამგვარი გადაზიდვისთვის საჭირო დოკუმენტაცია და გადაზიდვის უსუსხის მგებლობას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – მოქმედების სფერო

მუხლი 1

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება საქონლის¹ სატრანსპორტო საშუალებით საგზაო გადაზიდვისას ნებისმიერი სასყიდლიანი² ხელშეკრულების მიმართ; თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გაგზავნისა და მიღების ადგილი მდებარეობს ორ სხვადასხვა სახელმწიფოში, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ამ კონვენციის მონაწილეა³, მიუხედავად მხარეთა რეზიდენტობისა⁴ და მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.

2. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალებაში იგულისხმება "საგზაო მოძრაობის შესახებ"⁵ 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციის მე-4 მუხლით განსაზღვრული, სატვირთო ფურგონები, სანეგარა და ნახევრად სანეგარა სატვირთო ავტომობილები⁶.

3. აღნიშნული კონვენცია გამოიყენება მაშინაც, თუ კონვენციით გათვალისწინებული მონესრიგების ფარგლებში გადაზიდვა ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულების⁷ ან ორგანიზაციის მიერ.

4. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება:

a. თუ გადაზიდვა ხორციელდება "საერთაშორისო საფოსტო კონვენციის" შესაბამისად;

b. მიცვალებულთა გადასვენებისას;

c. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის დროს, ბინის მონყობილობისა და ავეჯის გამოცვლისას;

5. ხელშემკვრელი მხარეები (კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები) თანხმდებიან, არ შეცვალონ კონვენციის მოქმედება ორმხრივი ან მრავალმხრივი სპეციალური⁸ შეთანხმებების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შეთანხმება ეხება კონვენციის მონესრიგების გამორიცხვას სასაზღვრო გადაზიდვების მიმართ⁹ ან სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვისას სასაქონლო ბედნადებების¹⁰ გამოყენებას, რომელთა შემგვობითაც დასტურდება პირის უფლება საქონელზე.

მუხლი 2

თუ დატვირთული სატრანსპორტო საშუალება გზის ერთ მონაკვეთზე¹¹ გადაზიდული იქნება მღვით, შიდასაწყალოსნო გზით, რკინიგზით ან საჰაერო ტრანსპორტით ისე, რომ საქონელი არ იქნება გადმოტვრთული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიყენება კონვენციის მე-14 მუხლის დებულებანი, კონვენციის მოქმედება უპირობოდ ვრცელდება მთლიანი გადაზიდვის მიმართ; იმ შემთხვევათა გამორიცხვით, თუ დასტურდება, რომ მოცემული გადაზიდვისას ტვირთის დაზიანება, დაკარგვა ან მითანის ვადის გადაცილება განპირობებულია იმ გარემოებათა შედეგად, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს უშუალოდ ბემოაღნიშნული სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული გადაზიდვის დროს და არა საგზაო სატრანსპორტო გადამზიდველის მოქმედებით ან უმოქმედობით. ამ შემთხვევაში, სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებიდან გამომდინარე, გადამზიდველის პასუხისმგებლობა

განისაზღვრება არა აღნიშნული კონვენციის მიხედვით, არამედ იმ სამართლებრივი მოწესრიგების შესაბამისად, რომლიდან გამომდინარეც დარეგულირდებოდა გადაზიდვა გამგზავნა და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებით გადამზიდველს შორის ცალკე ხელშეკრულების არსებობისას¹².

ზემოაღნიშნულ გარემოებათა არარსებობისას საგზაო გადამზიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე კონვენციით.

2. თუ საგზაო გადამზიდველი ასევე წარმოადგენს სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებით გადამზიდველს, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის პირობათა დაცვით იმგვარად რომ, საგზაო გადამზიდველი და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებით გადამზიდველი უფლებებისა და ვალდებულებების თვალსაზრისით განიხილება ორ ურთიერთდამოუკიდებელ სუბიექტად.¹³

თავი II

იმ პირთა წრე, რომელთა მოქმედებისთვისაც პასუხისმგებელია გადაზიდველი

მუხლი 3

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის გადამზიდველმა საკუთარი წარმომადგენლების, მომსახურეთა¹⁴ ან იმ პირთა ქმედებისათვის, რომელთა მომსახურებასაც იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის დროს, თუ აღნიშნული პირები მოქმედებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ფარგლებში.

თავი III

გადაზიდვის ხელშეკრულების დადება და შესრულება

მუხლი 4

გადაზიდვის ხელშეკრულების დადება დასტურდება ზედნადების შედგენის გზით. ზედნადების არქონა¹⁵, ხარვეზიანობა ან დაკარგვა გავლენას არ ახდენს გარიგების ნამდვილობაზე, რომელიც კვლავ რჩება ამ კონვენციის მოწესრიგების საგნად.

მუხლი 5

1. ზედნადები დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაც ხელს აწერს გამგზავნი და გადამზიდველი. ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს ბეჭდური სახით ან შეიცვალოს გამგზავნისა და გადამზიდველის ბეჭდების დასმით, თუ ეს ნებადართულია იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ზედნადები გაფორმდა. პირველი ეგზემპლარი გადაეცემა გამგზავნს, მეორე თან ერთვის¹⁶ საქონელს, მესამე კი რჩება გადამზიდველს.

2. თუ გადასაზიდი საქონელი ნაწილდება სხვადასხვა ტრანსპორტზე, ან თუ საქონელი სხვადასხვა სახისაა, ან დაყოფილია განსხვავებულ პარტიებად, გამგზავნს ან გადამზიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს ზედნადების შედგენათითოეული ტრანსპორტის ან ტვირთის სახეობისთვის¹⁷.

მუხლი 6

1. სასაქონლო ზედნადები უნდა შედგებოდეს შემდეგი მონაცემებისგან:

- (ა) სასაქონლო ზედნადების შედგენის დრო და ადგილი;
- (ბ) გამგზავნის სახელი და მისამართი;
- (გ) გადამზიდველის სახელი და მისამართი;
- (დ) ტვირთის მიღების ადგილი და თარიღი, ასევე ტვირთის დანიშნულების ადგილი;
- (ე) ტვირთის მიმღების სახელი და მისამართი;
- (ვ) ტვირთის ჩვეულებრივი გამოყენების აღწერილობა და შეფუთვის მეთოდი, და, საფრთხის შემცველი ტვირთის შემთხვევაში, მათი საყოველთაოდ აღიარებული აღწერილობა;
- (ზ) შეფუთვის რაოდენობა და მათი სპეციალური აღნიშვნები და ციფრები;
- (თ) ტვირთის მთლიანი წონა, ან მისი რაოდენობის სხვაგვარი გამოხატვა;
- (ი) ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია გადაზიდვასთან (გადაზიდვის ხარჯი, დამატებითი ხარჯი, საბაჟო გადასახადი და ხელშეკრულების შედგენიდან ტვირთის ჩაბარების დრომდე გადახდილი სხვა ხარჯები);
- (კ) საბაჟო და სხვა ფორმულებების აუცილებელი ინსტრუქციები;
- (ლ) მითითება, რომ, ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად, გადაზიდვა არის მიზანი, მიუხედავად რაიმე საწინააღმდეგო მუხლისა/შენიშვნისა.

2. საჭიროების მიხედვით, სასაქონლო ზედნადები ასევე უნდა შეცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- (ა) მითითება, რომ გადატვირთვა აკრძალულია;
- (ბ) შემდგომი ხარჯები, რომელთა გადახდაც გამგზავნმა იტვირთა.
- (გ) გადასახადი, რაც უნდა იყოს გადახდილი ტვირთის ჩაბარებისას;
- (დ) ტვირთის ღირებულების შესახებ დეკლარაცია და გადაცემისათვის სპეციალური პროცენტის ოდენობა;

(ე) გადამზიდველისადმი გამგზავნის ინსტრუქციები ტვირთის დაზღვევასთან დაკავშირებით;
(ვ) დროის შეთანხმებული ვადები, რომელთა ფარგლებშიც გადაზიდვა უნდა განხორციელდეს;

(ზ) გადამზიდველისთვის გადაცემული დოკუმენტების ნუსხა.

3. მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სასაქონლო ზედნადებში სხვა მონაცემებიც, რასაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ.

მუხლი 7

1. გამგზავნი პასუხისმგებელია გადამზიდველის ყველა დანახარჯზე, დანაკლისზე და ზიანზე, რომელიც გამოიწვია უზუსტო ან შეუსაბამო:

(ა) მონაცემებმა, რომელიც ჩამოყალიბებულია მეექვსე მუხლის პირველი ნაწილის (ბ), (დ), (ე), (ვ), (ზ) (თ) და (კ) პუნქტებში;

(ბ) მონაცემებმა, რომელიც ჩამოყალიბებულია მეექვსე მუხლის მეორე ნაწილში.

(გ) სხვა დანარჩენმა მონაცემებმა ან ინსტრუქციებმა, რომლებიც განკუთვნილი არიან იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სასაქონლო ზედნადების შედგენა ან მათი იქ შეტანა.

2. თუ, გამგზავნის მოთხოვნის შესაბამისად, გადამზიდველი ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ მონაცემებს სასაქონლო ზედნადებში შეიტანს, ჩაითვლება, რომ ის მოქმედებდა გამგზავნის სახელით, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

3. თუ სასაქონლო ზედნადები არ შეიცავს მეექვსე მუხლის პირველი ნაწილის (ლ) პუნქტით გათვალისწინებულ მითითებას, გადამზიდველი იქნება პასუხისმგებელი ყველა ხარჯზე, დანაკარგსა და ზიანზე, რომელიც მიადგა იმ პირის დაუდევარი ქმედებით, რომლის განკარგულებაშიც იყო ტვირთი.

მუხლი 8

1. ტვირთის გადაზიდვისას, გადამზიდველმა უნდა შეამოწმოს:

(ა) სასაქონლო ზედნადებში შეფუთვების რაოდენობის, და მათი აღნიშვნებისა და ნუმერაციის შესახებ ცნობების სიზუსტე.

(ბ) ტვირთისა და მისი შეფუთვის თვალსაჩინო მდგომარეობა.

2. თუკი გადამზიდველს არ აქვს გონივრული (სათანადო) საშუალება, რომ შეამოწმოს ამ მუხლის პირველი ნაწილის (ა) პუნქტით გათვალისწინებული ცნობების სიზუსტე, მან უნდა შეიტანოს დამატებითი შენიშვნა სასაქონლო ზედნადებში შესაბამისი საფუძვლების მითითებით. მან ამგვარადვე უნდა მიუთითოს საფუძველი ნებისმიერ დამატებით შენიშვნაზე, რომლებსაც ის გააკეთებს ტვირთის და მისი შეფუთვის თვალსაჩინო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ასეთი დამატებითი მითითებები არ უნდა იყოს მბოჭავი/სავალდებულო გამგზავნისთვის, თუ ის სასაქონლო ზედნადებში აშკარად არ აღიარებს მის სავალდებულო ხასიათს.

3. გამგზავნს უფლება აქვს, მოსთხოვოს გადამზიდველს ტვირთის საერთოს წონის ან სხვა საზომ ერთეულში გამოხატული რაოდენობის შემოწმება. მას ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს შეფუთვების შიგთავსის შემოწმება. გადამზიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს ასეთი შემოწმებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. შემოწმების შედეგები უნდა იყოს შეტანილი სასაქონლო ბედნადებში.

მუხლი 9

1. სასაქონლო ბედნადებში უნდა იყოს გადაზიდვის ხელშეკრულების შედგენის, ხელშეკრულების პირობების და გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღების საკმარისი/აშკარა (prima facie) საფუძველი.

2. თუ სასაქონლო ბედნადები არ შეიცავს არანაირ დამატებით შენიშვნას, საპირისპიროს დამტკიცებამდე უნდა ვივარაუდოთ, რომ ტვირთი და მისი შეფუთვა იყო კარგ მდგომარეობაში გადამზიდველისთვის მისი გადაცემის დროს, მათი ნიშნები და ნუმერაცია კი შეესაბამება სასაქონლო ბედნადებში მითითებულ მონაცემებს.

მუხლი 10

გამგზავნი პასუხისმგებელია გადამზიდველის წინაშე იმ ზიანისათვის, როემლიც მიადგა ადამიანს, ტვირთს ან აღჭურვილობას, ტვირთის დეფექტური შეფუთვის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დეფექტი/ნაკლი აშკარა ან ცნობილი იყო გადამზიდველისთვის ტვირთის მიღების დროს და მას არ გაუკეთებია ამასთან დაკავშირებით დამატებითი შენიშვნები.

მუხლი 11.

1. გამგზავნი ვალდებულია ბედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი, რომელიც აუცილებელია საქონლის მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავს მოქმედებათა შესასრულებლად, ან გადასცეს ეს საბუთები გადამზიდველს და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია.

2. გადამზიდველი არ არის ვალდებული შეამოწმოს, არის თუ არა საბუთები და ინფორმაცია სწორი და საკმარისი. გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის მიმართ ზემოაღნიშნული საბუთებისა და ინფორმაციის არარსებობის, უზუსტობის ან ხარვეზიანობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოცემული შედეგი გადამზიდველის ბრალით დადგა.

3. გადამზიდველი პასუხისმგებელია ბედნადებში მითითებული, მასზე დართული, გადამზიდველისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის გადაცემული საბუთების დაკარგის ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში. გადამზიდველს არ შეიძლება დაეკისროს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, რასაც ადგილი ექნებოდა საქონლის დაკარგვისას.

მუხლი 12:

1. გამგზავნს აქვს უფლება განკარგოს ტვირთი, კერძოდ თხოვოს გადამზიდვას ტვირთის გადაზიდვის შეჩერება, შეცვალოს გადაცემის ადგილი ან გადასცეს ტვირთი სასაქონლო ზედნადებში მითითებული პირისგან განსხვავებულ პირს.

2. ეს უფლება წყვეტს არსებობას, როცა სასაქონლო ზედნადების მეორე ასლი გადაეცემა მიმღებს, ან როცა მიმღები გამოიყენებს მე-13 მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებულ უფლებას. ამ მომენტიდან გადამზიდველმა უნდა იხელმძღვანელოს მიმღების მითითებით.

3. მიმღები განკარგვის უფლებას იღებს მაშინაც კი, როცა შედგება ზედნადები, თუ გამგზავნმა ამის შესახებ ზედნადებში გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა.

4. თუ, განკარგვის უფლების გამოყენების დროს, მიმღებმა გადასცა ტვირთი სხვა პირს, მაშინ ამ პირს არ აქვს სხვა მიმღებთა დასახელების უფლება.

5. განკარგვის უფლების განხორციელებისას უნდა მოხდეს შემდეგი პირობების გათვალისწინება:

ა) გამგზავნმა ან, ამ მუხლის მესამე პუნქტში დასახელებულ შემთხვევაში – მიმღებმა, რომელსაც ამ უფლების განხორციელება სურს, უნდა წარუდგინოს გადამზიდველს ზედნადების პირველი ასლი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს გადამზიდველისათვის მიცემული ახალი ინსტრუქციები და მას აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი და ზარალი, რომლებიც ამ ინსტრუქციების შესრულების შედეგად წარმოიშვა.

ბ) ინსტრუქციების შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს იმ მომენტში, როცა ისინი მიუვა იმ პირს, რომელმაც ისინი უნდა შეასრულოს და არ უნდა უშლიდეს ხელს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და არც სხვა ტვირთის გამგზავნსა და მიმღებს უნდა აყენებდეს ზიანს.

გ) აღნიშნულმა ინსტრუქციებმა არ უნდა გამოიწვიოს ტვირთის დანაწილება.

6. თუ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, გადამზიდველს არ შეუძლია მიღებული ინსტრუქციების განხორციელება, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იმ პირს, ვინც ეს ინსტრუქციები გასცა.

7. გადამზიდველი, რომელიც არ ასრულებს ამ მუხლის დებულებათა დაცვით გაცემულ ინსტრუქციებს, ან ასრულებს მათ ზედნადების პირველი ასლის მოთხოვნის გარეშე, პასუხს აგებს პრეტენზიის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის წინაშე ამით წარმოშობილი ნებისმიერი დანაკარგის ან ზიანისათვის.

მუხლი 13

1. საქონლის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე მითანისას მიმღები უფლებამოსილია, ხელმოწერის დადასტურებით მოსთხოვოს გადამზიდველს ზედნადების მეორე ეგზემპლარისა და საქონლის გადაცემა. საქონლის დაკარგვისას, ან იმ შემთხვევაში, თუ საქონელი არ იქნა მითანილი, კონვენციის მე-19 მუხლით დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მიმღები უფლებამოსილია გადამზიდვიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით მიმართოს ¹⁹გადამზიდველის წინააღმდეგ.

2. თუ მიმღები სარგებლობს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული უფლებით, ვალდებულია აანაზღაუროს ზედნადებებიდან გამომდინარე დავალიანება. ზემოაღნიშნული საფუძვლიდან წარმოშობილი დავის შემთხვევაში გადამზიდველი არაა უფლებამოსილი, მოითხოვოს საქონლის მიწოდება გადამზიდველის მიმართ უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენამდე²⁰.

მუხლი 14

1. თუ რაიმე მიზეზით შეუძლებელია ან შეუძლებელი გახდება ხელშეკრულების შესრულება სასაქონლო ზედნადებში არსებული პირობების მიხედვით, სანამ ტვირთი მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე გადასაცემად, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს ინსტრუქციები იმ პირისგან, რომელიც ტვირთის განკარგვაზე არის უფლებამოსილი მე-12 მუხლის პირობების შესაბამისად.

2. თუ პირობები იძლევიან გადამზიდვის შესრულების შესაძლებლობას სასაქონლო ზედნადებში მითითებული პირობებისგან განსხვავებულად და თუ გადამზიდველს არ შეუძლია მიიღოს ინსტრუქციები გონივრულ ვადის ფარგლებში იმ პირისგან, რომელიც უფლებამოსილია ტვირთის განკარგვაზე მე-12 მუხლის პირობების შესაბამისად, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომელსაც ის ჩათვლის ტვირთის განკარგვაზე უფლებამოსილი პირისათვის ინტერესებისათვის საუკეთესოდ.

მუხლი 15

1. თუ დანიშნულების ადგილზე საქონლის მიტანის შემდეგ წარმოიშვება საქონლის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნისაგან მითითებები. თუ მიმღები უარს აცხადებს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი უფლებამოსილია განკარგოს საქონელი ზედნადების 1-ლი პირის (ეგზემპლარის) გარეშე.

2. მიმღებს შეუძლია მოითხოვოს საქონლის გადაცემა გამგზავნის მიერ გადამზიდველისათვის განსხვავებული მითითებების მიღებამდე იმ შემთხვევაშიც, თუ მან საქონლის მიღებაზე უარი განაცხადა.

3. თუ წარმოიშვა საქონლის გადაცემის ხელშემშლელი გარემოება მას შემდეგ, რაც მიმღებმა მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გასცა მითითება მესამე პირისათვის საქონლის გადასაცემად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების გამოყენებისას მიმღები იკავებს გამგზავნის, ხოლო მესამე პირი კი - მიმღების ადგილს.

მუხლი 16

1. გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გაიღო ინსტრუქციების ან ამ ინსტრუქციების განხორციელების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ხარჯი გამონწვეულია მისი არამართლზომიერი ქმედების ან დაუდევრობის გამო.

2. მე-14 მუხლის პირველი ნაწილით და მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადამზიდვანს შეუძლია დაუყოვნებლივ გადმოტვირთოს ტვირთი განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ანგარიშზე და ამით გადაზიდვა დასრულებულად იქნება მიჩნეული. გადამზიდველმა შეიძლება შეინახოს ტვირთი უფლებამოსილი პირის სახელზე. თუ ის მესამე პირს გადააბარებს ტვირთს, მაშინ ის არ იქნება პასუხისმგებელი გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ევალებოდა გამოეჩინა ყურადღება მესამე პირის არჩევისას. სასაქონლო ზედნადების ხარჯების და ყველა სხვა ხარჯის გათვალისწინება მოხდება ტვირთის ღირებულებიდან გამომდინარე.

3. გადამზიდველმა შეიძლება გაყიდოს ტვირთი განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ინსტრუქციების გარეშე, თუ საქონელი არის მალფუჭებადი ან მისი პირობები ამას განაპირობებს, ან როდესაც შენახვის ხარჯები ტვირთის ღირებულების პროპორციულია. მას შეუძლია გაყიდოს ტვირთი სხვა შემთხვევებშიც, თუ გონივრული ვადის გასვლის შემდეგ მას არ მიუღია ინსტრუქციები განკარგვაზე უფლებამოსილი პირისგან იმის საწინააღმდეგოდ, რის განხორციელებაც მას გონივრულად ევალებოდა.

4. თუ ტვირთი გაიყიდა ამ მუხლის შესაბამისად, მაშინ თანხა, ხარჯების გამოკლებით, უნდა გადაეცეს განკარგვაზე უფლებამოსილ პირს. თუ ეს ხარჯები გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხაზე მეტია, მაშინ გადამზიდველს უფლება ექნება, მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება.

5. გაყიდვის პროცედურა განისაზღვრება იმ კანონებით ან ჩვეულებით, სადაც ეს ტვირთი იმყოფება.

თავი IV – გადაზიდვლის პასუხისმგებლობა

მუხლი 17

1. გადამზიდველი პასუხს აგებს მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში საქონლის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვისა და დაზიანებისათვის, ასევე მიტანის ვადის გადაცილების გამო.

2. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ საქონლის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება გამონწვეულია კრედიტორის მართლსაწინააღმდეგოდ ან გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად; -კრედიტორის იმ მითითებათა შესაბამისად, რამაც გადამზიდველის მხრიდან განაპირობა მართლსაწინააღმდეგოდ ან გაუფრთხილებელი ქმედება, ან თუ ზიანი წარმოშობილია საქონლის თანდაყოლილი წუნის შედეგად, ან ისეთი გარემოების საფუძველზე, რომლიდან გამომდინარე შედეგების აცილება გადამზიდველს არ შეეძლო.

3. გადამზიდველი არ თავისუფლდება საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლოვანების, ასევე მომსახურეთა, წარმომადგენელთა და იმ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისაგან, რომელთაგან ნაქირავები (იჯარით აღებული) აქვს სატრანსპორტო საშუალება.

4. გადამზიდველი თავისუფლდება მე-18 მუხლის 2-5 პუნქტების შესაბამისად პასუხისმგებლობისაგან, თუ დაკარგვა ან დაზიანება განპირობებულია დაუძლეველი ძალის შედეგად, შემდეგი გარემოებების საფუძველზე:

(ა) მხარეთა შეთანხმების შედეგად ზედნადებში მითითებულია გადამზიდვის განხორციელება ღია გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით;

(ბ) საქონელი არასათანად ან არასრულადაა შეფუთული იმ პირობებში, როდესაც არასრული ან არასათანადო შეფუთვისას საქონელი ექვემდებარება დაზიანებას ან გაფუჭებას;

(გ) საქონლის დამუშავება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხორციელდება გამგზავნის, მიმღების ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ;

(დ) ცალკეულ საგანთა ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე განპირობებულია საქონლის ნაწილობრივი/სრული დაკარგვა ან დაზიანება, კერძოდ, დამტვრევა, კოროზია, ლპობა, გახმობა, მღრღნელებისა და მწერების ზემოქმედება;

(ე) საქონლის ნიშანდება ან ნუმერაცია არასრულად ან არასათანადოაა გაკეთებული²¹;

(ვ) ცოცხალი ცხოველების გადაყვანისას.

5. თუ გადამზიდველი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებმაც განაპირობეს საქონლის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება, იგი პასუხს აგებს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მხოლოდ იმ გარემოებათა საფუძველზე, რომელთა მიმართაც გათვალისწინებულია გადამზიდველის პასუხისმგებლობა.

მუხლი 18:

1. მტკიცების ტვირთი დაკარგვას, დაყოვნებასა და დაზიანებასთან დაკავშირებით, რომელიც გამომწვეულია მე-17 მუხლის მეორე ნაწილის გარემოებებით, დაეკისრება გადამზიდველს.

2. თუ გადამზიდველი დაატკიცებს, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ტვირთის დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზარალი აქედან წარმოიშვა. მოთხოვნის განმცხადებელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი ან დანაკარგი არ არის წარმოქმნილი მთლიანად ან ნაწილობრივ ამ რისკებიდან.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტში მოცემული პრეზუმაცია არ მოქმედებს მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის (ა) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მთლიანი ან ცალკეული შეფუთვის დანაკლისი არის ნორმალურად დასაშვებზე მაღალი.

4. თუ გადამზიდვა ხდება სპეციალური მოწყობილობით, რომელიც იცავს ტვირთს სიციხისგან, სიცივისგან, ტემპერატურის სხვაგვარი ცვლილებისგან ან ნესტიანი ჰაერისგან, გადამზიდველი

არ არის უფლებამოსილი, რომ ისარგებლოს მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის (დ) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნით, სანამ ის არ დაამტკიცებს, რომ მიიღო ყველა მისთვის სავალდებულო ზომა ამ მოწყობილობის შერჩევის, შენარჩუნების და გამოყენებისთვის და რომ მან შეასრულა ის სპეციალური ინსტრუქციები, რაც ვგალებოდა.

5. გადამზიდველს არ შეუძლია მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის (ვ) ქვეპუნქტის გამოყენება, სანამ არ დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა ღონისძიება და დაიცვა მასზე დაკისრებული ყველა მითითება და რომ იგი მოქმედებდა მისთვის მიცემული სპეციალური ინსტრუქციების შესაბამისად.

მუხლი 19

საქონლის მიტანის ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ საქონელი გადაზიდვისათვის გათვალისწინებულ ვადაში არ იქნა მიტანილი. თუ ვადა ვადის არ იყო დათქმული, გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში, საქონლის ნაწილ-ნაწილ შეკრებისას ამ ნაწილების შესაკრებად აუცილებელი დროის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს დროის იმ მონაკვეთისა, რომელიც გონივრული იქნებოდა კეთილსინდისიერი გადამზიდველისათვის²¹.

მუხლი 20

1. თუ ტვირთი გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ, ეს მიჩნეული იქნება ტვირთის დაკარგვად და მოთხოვნის უფლების მქონე პირს შეუძლია მიიჩნიოს ის დაკარგულად.

2. უფლებამოსილ პირს დაკარგული ტვირთის გამო ბარალის ანაზღაურებისას შეიძლება წერილობით მოსთხოვონ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს, თუ ბარალის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება დაკარგული ტვირთი. ამ მოთხოვნაზე პასუხი წერილობით უნდა გაიცეს.

3. ტვირთის განმკარგველ პირს შეუძლია ამგვარი შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში მოითხოვოს, რომ ტვირთი ჩაბარდეს მას ზედნადებიდან გამომდინარე უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ და მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების პირობით, საჭიროებისას – ზიანის ანაზღაურებისას წარმოშობილი ხარჯების გამოკლებით; მისი მოთხოვნები გადაზიდვის ვადის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებაზე 23-ე და 26-ე მუხლების მიხედვით უცვლელი რჩება, თუ უკანასკნელი ექვემდებარება გამოყენებას.

4. მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის არარსებობის პირობებში, ან თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნა წარმოდგენილი არ იქნება, ან არ არსებობს მესამე პუნქტით გათვალისწინებული ოცდაათდღიან ვადებში მიცემული ინსტრუქციები, ან თუ ტვირთი არის ნაპოვნი ანაზღაურების გაცემიდან ერთ წლის გასვლის შემდეგ, გადამზიდველი უფლებამოსილია ტვირთზე იმ ადგილის კანონების შესაბამისად, სადაც ეს ტვირთი იმყოფება.

მუხლი 21.

თუ მიმღებს საქონელი ჩაბარდა მიტანისათვის გათვალისწინებული დანამატის²³ გადაუხდელოდ, გადამზიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ანაზღაურება მოითხოვოს უშუალოდ გამგზავნისაგან²².

მუხლი 22.

1. თუ გამგზავნი გადასცემს გადამზიდვს საშიში ბუნების ტვირთს, მან უნდა შეატყობინოს გადამზიდვს მუსტი ინფორმაცია ამ ტვირთის საშიშროების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს გაფრთხილებები. თუ ეს ინფორმაცია არ იქნება შეტანილი სასაქონლო ბედნადებში, იმის მტკიცების ტვირთი, რომ გადამზიდვმა იცოდა საშიშროების მუსტი ბუნების შესახებ, ეკისრებათ მიმღებსა და გამგზავნს.

2. საშიში ბუნების ტვირთი, რომლის შესახებაც, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ გარემოებებში, გადამზიდველმა არ იცოცდა მისი სახიფათობის შესახებ, ნებისმიერ დროს და ადგილას გადამზიდველმა შეიძლება გადმოტვირთოს, გაანადგუროს, ან გააუვნებლყოს ყველანაირი ანაზღაურების გარეშე. გამგზავნი ასევე აგებს პასუხს ამ ტვირთის გადასაზიდად გადაცემით ან გადაზიდვით გამოწვეულ ზარალსა და ხარჯებზე.

მუხლი 23.

1. თუ, კონვენციის დებულებათა თანახმად, გადამზიდველი ვალდებულია, საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივი დაკარგვისას აანაზღაუროს ზიანი, ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება გადასაზიდად გადაცემის მომენტში არსებული საქონლის ღირებულების მიხედვით.

2. საქონლის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას - საბაზრო ფასით; თუ არცერთი ფასი არ არსებობს, - მსგავსი სახეობისა და ღირებულების საქონლის ანალოგიურად.

3. ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ფრანკს 1 კილოგრამ ბრუტო წონის დანაკლისზე. ფრანკში იგულისხმება ოქროს ფრანკი წონით 10/31 გრამი 0.900 ოქროს სინჯისა.

4. ამასთან ერთად გადაზიდვასთან, განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე სხვა სახის ხარჯები ექვემდებარება უკან დაბრუნებას სრულად მთლიანი საქონლის დაკარგვისას; ან პოპორციულად - საქონლის ნაწილობრივი დაკარგვის დროს.

5. თუ კრედიტორი დაამტკიცებს, რომ ვადის გადაცილებამ წარმოშვა ზიანი, გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს ზიანი, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადაზიდვის ღირებულებას.

6. ზიანის სახით უფრო მეტი ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასაზიდი საქონლის ღირებულება ან გადაზიდვის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გათვალისწინებული იყო 24-26 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 24.

გამგზავნს შეუძლია გადაზიდვის გადასახდელის დასაბუთებული დანამატის გადახდის შემთხვევაში განაცხადოს და სასაქონლო ზედნადებში მიუთითოს ტვირთის ღირებულება, რომელიც აღემატება 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ ზღვარს და ასეთ შემთხვევაში დასახელებული თანხა ცვლის ამ ზღვარს.

მუხლი 25.

1. საქონლის დაზიანებისას გადაზიდველი მოვალეა აანაზღაუროს საქონლის ღირებულების შემცირების შედეგად წარმოშობილი ზიანი, რომელიც განისაზღვრება 23-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

2. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა. გადასაზიდი ტვირთის სრული დაზიანებისას იმ თანხას, რომელიც მოვალეს გადახდებოდა მთლიანი საქონლის დაკარგვისას.

ბ. ტვირთის ნაწილობრივი დაზიანებისას იმ თანხას, რომელიც მოვალეს გადახდებოდა საქონლის ნაწილობრივი დაკარგვისას.

მუხლი 26:

1. გამგზავნს შეუძლია, დამატებითი გადასახადის გადახდის პირობებში, დააწესოს ტვირთის მიტანისთვის სპეციალური პროცენტი საქონლის დაზიანების, დაკარგვის ან ღრობის გადაცილების შემთხვევაში.

2. თუ განაცხადში მითითებულია სპეციალური პროცენტი, რომლის გადახდაც ხდება ტვირთის მიტანის შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაციისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 27

1. კრედიტორი²⁵ უფლებამოსილია ზიანის სახით ასანაზღაურებელ თანხაზე მოითხოვოს ყოველწლიურად 5 პროცენტის გადახდა; გადახდის ვადა აითვლება გადაზიდველისთვის

წერილობითი პრეტენზიის (რეკლამაციის)²³ გაგზავნის მომენტიდან ან, თუ პრეტენზია არ იქნა წარდგენილი, სარჩელის აღძვრის დღიდან.

2. თუ ზიანის ანაზღაურების თანხა არ არის განსაზღვრული იმ ქვეყნის ვალუტაში, რომელშიც აღძრულია სარჩელი, გაცვლითი კურსი განისაზღვრება ანაზღაურების დროსა და ადგილას არსებული საგალუტო ნიხრის მიხედვით.

მუხლი 28

1. იმ შემთხვევაში, როდესაც, გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, გადამზიდვის დროს წარმოშობილი დანაკარგის, დაყოვნების ან დაზიანების დროს წარმოიშვება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნა, გადამზიდველს შეუძლია იხელმძღვანელოს ამ კონვენციის დებულებებით, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას, ან დებულებებით, რომლებიც განსაზღვრავენ ან ზღუდავენ მოსალოდნელ ანაზღაურებას.

2. თუ ერთ-ერთი პირის მიმართ გამოყენებული იქნება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოთხოვნები დანაკარგის, დაზიანებისა და ვადის გადაცილებისათვის, რომელზედაც გადამზიდველი პასუხისმგებელია მე-3 მუხლის თანახმად, მაშინ ამ პირს შეუძლია იხელმძღვანელოს წინამდებარე კონვენციის იმ დებულებებით, რომლებიც გამორიცხავენ გადამზიდველის პასუხისმგებლობას, ან განსაზღვრავენ ან ზღუდავენ მოსალოდნელ ანაზღაურებას.

მუხლი 29

1. გადამზიდველი არ არის უფლებამოსილი ამ თავის იმ დებულებებზე მითითებით, რომლებიც გამორიცხავენ, ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას ან ცვლიან მტკიცების ტვირთს, თუ ზიანი გამოწვეულია გადამზიდველის განზრახი მართლსაწინააღმდეგო²⁴ ქმედებით ან იმგვარი არაჯეროვანი²⁶ შესრულებით, რაც საქმის განმხილველი სასამართლოს ქვეყნის კანონმდებლობით გათანაბრებულია განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

2. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, თუ მარლსაწინააღმდეგო განზრახი ქმედება ან მასთან გათანაბრებული არაჯეროვანი შესრულება განხორციელებულია გადამზიდველის წარმომადგენლის, მომსახურის ან იმ პირთა მოქმედების შედეგად, რომელთაც გადამზიდველი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, თუ აღნიშნული პირები მოქმედებდნენ საკუთარი მოვალეობის ფარგლებში. ამავდროულად, მოცემულ შემთხვევაში, წარმომადგენლები, მომსახურენი, ან სხვა პირები ვერ ისარგებლებენ საკუთარი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ამ თავის 1-ლი მუხლის დებულებებზე მითითებით.

თავი V – პრაქტიკა და მოქმედებანი

მუხლი 30

1. თუ მიმღები მიიღებს ტვირთს გადამზიდველთან ერთად სათანადო შემოწმების და გადამზიდველისთვის განაცხადის წარდგენის გარეშე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დანაკარგის ან დაზიანების ზოგადი ხასიათი, არა უგვიანეს აშკარად დაგვიანებული ან დაკარგული ტვირთის მიღების დროიდან და იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკარგი ან დაზიანება არ არის აშკარა 7 დღის განმავლობაში, კვირისა და საზოგადოებრივი დღესასწაულების გამოკლებით, მის მიერ ტვირთის მიღება prima facie (სამართლებრივად საკმარისი) მტკიცებულებაა იმისა, რომ მან ტვირთი მიიღო იმ მდგომარეობაში, როგორც აღწერილია ზედნადებში. აშკარა დანაკარგისა და დაზიანების შემთხვევაში სათანადო განცხადება უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით.

2. თუ მიმღებმა და გადამზიდველმა სათანადოდ შეამოწმეს ტვირთის მდგომარეობა, შემოწმების შედეგების საწინააღმდეგო მტკიცებულებები დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაკარგი და დაზიანება აშკარა არაა და იმ პირობით, რომ მიმღები ჩაბარებიდან შვიდი დღის განმავლობაში (კვირისა და დღესასწაულების გარდა) წარუდგენს გადამზიდველს განცხადებას წერილობითი ფორმით.

3. კომპენსაციის გადახდა გადაცემის დაგვიანებისთვის არ არის დასაშვები, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც წერილობითი ფორმის განცხადება გაკეთებული იყო მიმღების განკარგულებაში ტვირთის გადაცემიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების გამოთვლისას ამ ვადებში არ ჩაითვლება ტვირთის გაცემის ან შემოწმების დღე ან მიმღების განკარგულებაში ტვირთის გადაცემის დღე, ყოველი კონკრეტულ შემთხვევის შესაბამისად.

5. გადამზიდველმა და მიმღებმა ხელი უნდა შეუწყონ ერთმანეთს ყველა აუცილებელი შემოწმების და გამოკვლევის ჩატარებაში.

მუხლი 31

1. ამ კონვენციის შედეგად განხორციელებული გადაზიდვიდან გამომდინარე სარჩელის აღძვრა მოსარჩელეს შეუძლია მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოში. ამასთან დასაშვებია სარჩელის აღძვრა იმ ქვეყნის სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეცაა:

ა. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი²⁷. საწარმოს, საწარმოს ფილიალის ან წარმომადგენლობის, რომელთა მეშვეობთაც დაიდო გარიგება, მართვის ადგილი.

ბ. საქონლის გადამზიდველისათვის გადაცემის ადგილი ან [იმ ქვეყნის სასამართლო სადაც მდებარეობს] ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ადგილი.

2. თუ სარჩელი აღძრულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით განსაზღვრულ კომპეტენტურ სასამართლოში, დაუშვებელია ნებისმიერი სხვა სახის სამართლებრივი

ლონისძიების გატარება იმავე მხარეების მიერ [იმავე საგანზე], იმავე საფუძვლით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სარჩელი აღიძვრება იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც არ მოხდება საქმის თავდაპირველი განმხილველი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

3. თუ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით მონესრიგებულ ურთიერთობებზე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას ამავე სახელმწიფოში, ის ასევე აღსრულდება კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოშიც, ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფორმალობების შესრულებისთანავე. გემოაღნიშნულ ფორმალობათა დაცვამ არ უნდა გამოიწვიოს საქმის ხელახალი არსებითი განხილვა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება ვრცელდება არსებითი განხილვის შედეგად, მათ შორის დაუსწრებლად²⁸ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სასამართლოს ინიციატივით გამოტანილ განჩინებებზე²⁹, მაგრამ არ ვრცელდება სხვა სახის სასამართლო დადგენილებებზე, რომელთა მეშვეობითაც საქმე არსებითად არ წყდება, ზიანის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და საპროცესო ხარჯებზე, რომელიც გადახდება მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის სრული ან ნაწილობრივი დაუკმაყოფილებლობისას³⁰.

5. აღნიშნული კონვენციის შესაბამისად განხორციელებული გადაზიდვიდან გამომდინარე დავის განხილვისას გადაზიდვიდან წარმოშობილი ხარჯების უზრუნველყოფა არ შეიძლება მოეთხოვოს მხარეს, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს, რეზიდენტს, ან რომლის საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილი ერთ-ერთ გემოაღნიშნულ სახელმწიფოშია.

მუხლი 32

1. სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადა, გამომდინარე იმ გადაზიდვიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ამ კონვენციას, განისაზღვრება ერთი წლით. განზრახული არამართლობიერი ქმედების ან ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, კანონის თანახმად სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ საქმის შეწყვეტა უტოლდება წინასწარ განზრახულ არამართლობიერ ქმედებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება სამი წლით. სარჩელის ათვლის ხანდაზმულობის ვადა იწყება:

ა) ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი ჩაბარების დღიდან;

ბ) ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა შეთანხმებული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს;

გ) ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

დღე, როდესაც იწყება სარჩელის ათვლა, სარჩელის აღძვრის ვადაში არ ჩაითვლება.

2. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი წერილობითი ფორმით უარყოფს მოთხოვნას და

თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განახლება ხდება მხოლოდ რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის. რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების დამტკიცება ეკისრება პირს, რომელიც ამ ფაქტებს ეყრდნობა. ამ აქტების საფუძველზე წარმოდგენილი შემდგომი რეკლამაციები ვერ შეაჩერებენ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულების თანახმად სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება რეგულირდება საქმის განმხილველი სასამართლოს კანონით. იგივე კანონი არეგულირებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის წყვეტილობას.

4. მოთხოვნები სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმართ, რომელიც გასულია, არ შეიძლება წარედგინოს შემხვედრი სარჩელის ან პროტესტის სახით.

მუხლი 33

გადაზიდვის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დათქმას დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ დავის არსებობისას ამ უკანასკნელის კონვენციის დებულებათა შესაბამისად განხილვის პირობის დაცვით.

თავი VI

მომდევნო გადაზიდვების მიერ შესრულებულ გადაზიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 34

თუ გადაზიდვა სრულდება ხელშეკრულების შესაბამისად მომდევნო გადამზიდველების მიერ, თითოეული გადამზიდველი პასუხისმგებელი იქნება მთლიანი პროცედურის შესრულებისთვის. მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ხდება გადაზიდვის ხელშეკრულების მხარე ზედნადების პირობების მიხედვით, მათ მიერ საქონლისა და ზედნადების მიღების გამო.

მუხლი 35

1. გადამზიდველი, რომელიც იღებს საქონელს წინამორბედი გადამზიდველისაგან, გადასცემს ამ უკანასკნელს საკუთარი ხელმოწერით დადასტურებულ ხელწერილს გადაცემის თარიღის სავალდებულო მითითებით. ზედნადების მეორე ეგზემპლარზე შემდგომი

გადამზიდველი აღნიშნავს საკუთარ სახელს³¹, სათანადო საფუძვლების არსებობისას, ასევე ამ კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ გარემოებებს.

2. მე-9 მუხლის მოთხოვნები არეგულირებენ ურთიერთობებს მომდევნო გადამზიდველთა შორის.

მუხლი 36

იმ შემთხვევების გარდა, როცა საქმე იმ სარჩელის განხილვის ერთ-ერთ სტადიაზე წამოჭრილ შეგებებულ სარჩელს ან საწინააღმდეგო მოსაზრებას ეხება, ამავე გადამზიდვის ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, დაკარგვასთან, დაზიანებასთან ან მიტანის ვადის გადაცილებასთან დაკავშირებული სარჩელები შეიძლება წარედგინოს მხოლოდ პირველ გადამზიდველს, ბოლო გადამზიდველს ან გადამზიდველს, რომელიც ახორციელებდა გადამზიდვას იმ ეტაპზე, როდესაც მოხდა დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება.

მუხლი 37

გადამზიდველი, რომელმაც ამ კონვენციის შესაბამისად ანაზღაურა გადამზიდვისას მიყენებულ ზიანი, გადახდილი ზიანის თანხისა და დარიცხული პროცენტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით უკუმოთხოვნით სარგებლობს შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადამზიდვაზე პასუხისმგებელი გადამზიდველი ერთპიროვნულად ანაზღაურებს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შედეგად წარმოშობილ ზიანს, რომელიც უნდა გადახდენოდა მას ან სხვა გადამზიდველის.

ბ) თუ საქონლის დაკარგვა ან დაზიანება გამონვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეული მათგანი ვალდებულია, თავისი პასუხისმგებლობის ხვედრითი წილის შესაბამისად, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. თუ ასეთი გამიჯვნა შეუძლებელია, გადამზიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მთლიანი გადამზიდვისათვის მისაღებ თანხაში გადამზიდველის წილის პროპორციულად.

გ) როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი გადამზიდველია პასუხისმგებელი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, მაშინ ზიანი ანაზღაურდება ყველა გადამზიდველის მიერ „ბ“ პუნქტით განსაზღვრული პროპორციის შესაბამისად.

მუხლი 38

თუ ერთ-ერთი გადამზიდველი გადახდისუნაროა, მის მიერ გადასახდელი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხა ნაწილდება დანარჩენ გადამზიდველებს შორის, გადამზიდვისთვის მიღებულ ანაზღაურებაში მათი წილის პროპორციულად.

მუხლი 39

1. არცერთი გადამზიდველი, რომლის წინააღმდეგაც 37-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად რეგრესული მოთხოვნით აღძრულია სარჩელი, არ არის უფლებამოსილი სადავოდ გახადოს სარჩელის აღმძვრელი გადამზიდველის მიერ გადახდილი თანხის ნამდვილობა, თუ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, რომელშიც თავდაპირველად აღნიშნული გადამზიდველი სათანადო წესის დაცვით მოწვეულ იქნა საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

2. თუ გადამზიდველი, საკუთარი ინტერესის დაცვის მიზნით, რეგრესული სასარჩელო მოთხოვნით აღძრავს სარჩელს იმ ქვეყნის სასამართლოში, რომელშიც ერთ-ერთ გადამზიდველს აქვს საცხოვრებელი ადგილი, ძირითადი საქმიანობის ადგილი, საწარმოს ადგილსამყოფელი, ფილიალი ან წარმომადგენლობა; სასამართლო პროცესში მოპასუხედ შესაძლოა ჩართულ იქნეს ყველა გადამზიდველი.

3. 31-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის დებულებები გამოიყენება სასამართლოს მიერ 37-ე და 38-ე მუხლებში აღნიშნული რეგრესული სარჩელის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ.

4. 32-ე მუხლის დებულებანი გამოიყენება გადამზიდველთა შორის დავის არსებობისას. ხანდაზმულობის ვადა აითვლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დღიდან ან, ასეთი გადაწყვეტილების არარსებობისას, თანხის ფაქტობრივი გადახდის მომენტიდან.

მუხლი 40

გადამზიდველები შეიძლება შეთანხმდნენ 37-38 მუხლებისგან განსხვავებულ სხვა პირობებზე.

თავი VII

კონვენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების ბათილობა

მუხლი 41

1. მე-40 მუხლის დებულებათა დაცვისას ყოველი შეთანხმება, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაშვებულია ამ კონვენციის დებულებებისაგან გადახრა ჩაითვლება ბათილად. ასეთი შეთანხმებების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა პირობების ბათილობას.

2. კერძოდ, ბათილიანების მიერიმუხლი, რომლითაც გადამზიდველებსარგებელშემძენი

(მოსარგებლე) საქონლის დაზღვევის ხელშეკრულებით, ან ნებისმიერი ანალოგიური მუხლი, ან სხვა მუხლი რომელსაც მტკიცების ტვირთი გადააქვს მეორე მხარემ.

თავი VII – დასკვნითი დებულებები

მუხლი 42

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ან მასთან შესაერთებლად იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არიან ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრები და ქვეყნები, რომლებიც დაშვებულნი არიან სათათბირო ხმის უფლებით ამ კომისიის მანდატის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

2. ქვეყნებს, რომლებიც დაშვებულნი არიან ზოგიერთ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად ევროპის ეკონომიკურ კომისიაში მანდატის მე-11 მუხლის თანახმად, შეუძლიათ გახდნენ ამ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები მასთან შეერთების გზით, მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

3. კონვენცია ღია იქნება ხელის მოსაწერად 1956 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. ამ თარიღის შემდეგ კონვენცია ღიაა შეერთებისათვის.

4. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას.

5. რატიფიკაცია ან შეერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან რატიფიკაციის სიგელის ან მასთან შეერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების გზით.

მუხლი 43

1. ეს კონვენცია ძალაში შედის 90-ე დღეს მას შემდეგ, რაც 42-ე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ხუთი ქვეყანა ჩააბარებს შესანახად თავიანთ სარატიფიკაციო სიგელებს ან დოკუმენტებს შეერთების შესახებ.

2. ყველა ქვეყნისათვის, რომელიც შეუერთდება ამ კონვენციას და მოახდენს მის რატიფიკაციას, მას შემდეგ რაც ხუთივე ქვეყანა ჩააბარებს შესანახად თავის სარატიფიკაციო სიგელებს ან დოკუმენტებს შეერთების შესახებ, აღნიშნული კონვენცია შედის ძალაში 90-ე დღეს ჩაბარების დღიდან.

მუხლი 44

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია გააუქმოს ეს კონვენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინებით.

2. გაუქმება შედის ძალაში გენერალური მდივნისთვის შეტყობინების მიერ შეტყობინების მირებიდან მე-12 თვეს.

მუხლი 45

თუ, ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ხელშემკვრელი ქვეყნების რაოდენობა დენონსაციის გამო დარჩება ხუთზე ნაკლები, ეს კონვენცია კარგავს ძალას მას შემდეგ, რაც ბოლო ქვეყნის დენონსაცია შევა ძალაში.

მუხლი 46

1. ნებისმიერ ქვეყანას, სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების, ანდა ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გზით, შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია ვრცელდება მისი ტერიტორიის იმ ნაწილზე ან მთლიან ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობაზე იგი არის პასუხისმგებელი. კონვენციის მოქმედება ვრცელდება ტერიტორიასა ან ტერიტორიებზე, რომლებიც მითითებულია შეტყობინებაში 90 დღის გასვლის შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიიღებს აღნიშნულ შეტყობინებას, ანდა თუ ეს კონვენცია ჯერ არ არის ძალაში შესული, - მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. ყოველი ქვეყანა, რომელიც წინა პუნქტის შესაბამისად განაცხადებს წინამდებარე კონვენციის გავრცელებას მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის საგარეო ურთიერთობებზეც იგი პასუხს აგებს, შეუძლია 44 მუხლის დებულებათა თანახმად მოახდინოს კონვენციის დენონსირება აღნიშნული ტერიტორიის მიმართ.

მუხლი 47

ხელშემკვრელი ქვეყნების ნებისმიერი სადავო საკითხები, რომელიც ეხება ამ კონვენციის განმარტებასა თუ გამოყენებას და რომელთა გადაწყვეტა მხარეებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოლაპარაკებებისა და სხვა საშუალებებით, შეიძლება რომელიმე ხელშემკვრელი დაინტერესებული მხარის თხოვნით გადაეცეს გადასაწყვეტად საერთაშორისო სასამართლოს.

მუხლი 48

1. ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების დროს, გამოაცხადოს, რომ არ არის შეზღუდული ამ კონვენციის 47-ე მუხლით.

სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ არიან შემლედულნი 47-ე მუხლის პირობებით იმ ხელშემკვრელი მხარის მიმართ, რომელმაც ეს დათქმა გააკეთა.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდება ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ დათქმას, ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გაეროს გენერალურ მდივარს ამ დათქმის გაუქმების შესახებ.

3. სხვა დათქმა ამ კონვენციასთან დაკავშირებით არ არის დაშვებული.

მუხლი 49

1. კონვენციის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს შეტყობინების გზით წარუდგინოს თხოვნა ამ კონვენციის გადასინჯვასთან დაკავშირებით კონფერენციის მოწვევის შესახებ. გენერალური მდივანი ამ თხოვნის შესახებ ატყობინებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს და კონვენციის გადასინჯად იწვევს კონფერენციას იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების მიღებიდან ოთხთვიან ვადაში სულ მცირე ერთ მეოთხედი ნაწილი ხელშემკვრელი მხარეებისა გამოთქვამს თანხმობას ამ თხოვნაზე.

2. თუ კონფერენცია მოეწყობა წინა პუნქტის თანახმად, გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს და მიმართავს თხოვნით, რათა მათ სამთვიან ვადაში წარმოადგინონ ის წინადადებები, რომელთა განხილვას კონფერენციაზე ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ. სულ მცირე სამი თვით ადრე კონფერენციის გახსნამდე გენერალური მდივანი აცნობებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს კონფერენციის დღის წესრიგის პროექტს და აგრეთვე ამ წინადადებათა ტექსტს.

3. გენერალური მდივანი მოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ კონფერენციაზე ყველა იმ ქვეყნებს, რომლებიც მითითებულია 42-ე მუხლის 1-ელ პუნქტში და აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გახდნენ ხელშემკვრელი მხარეები.

მუხლი 50

49-ე მუხლში მითითებული შეტყობინების გარდა გენერალური მდივანი ატყობინებს 42-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ ქვეყნებს, აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც 42-ე მუხლის პუნქტი მე-2-ის საფუძველზე გახდნენ ხელშემკვრელი მხარეები:

- ა) რატიფიკაციისა და კონვენციასთან შეერთების შესახებ, 42-ე მუხლის შესაბამისად;
- ბ) კონვენციის ძალაში შესვლის თარიღებს 43-ე მუხლის შესაბამისად;
- გ) დენონსაციის (გაუქმების) შესახებ 44-ე მუხლის შესაბამისად;
- დ) წინამდებარე კონვენციის ძალის დაკარგვის შესახებ 45-ე მუხლის შესაბამისად;
- ე) 46-ე მუხლის შესაბამისად, მიღებული შეტყობინების შესახებ;
- ვ) განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ, 48-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 51

1956 წლის 31 აგვისტოს შემდეგ ამ კონვენციის დედანი შეიძლება გაცემულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ, რომელიც გადასცემს დამონმებულ ასლებს 42-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებში ჩამოთვლილ ქვეყნებს.

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ხელის მომწერნი ხელს აწერენ ამ კონვენციას.

შესრულებულია ფენევაში, ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლის ცხრამეტ მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თითო ასლად, თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

ხელმოწერის პროტოკოლი

გზის მეშვეობით საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ კონვენციის ხელმოწერისას შესაბამისად უფლებამოსილი ხელის მომწერნი შეთანხმდნენ ქვემოთ მოყვანილ განცხადებასა და განმარტებაზე:

1 ეს კონვენცია არ ეხება გადაზიდვას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის.

2 იხ. 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი.

ხელის მომწერნი კისრულობენ მოლაპარაკების წარმართვას მონყობილების გადაადგილებისა და კომბინირებული ტრანსპორტის ხელშეკრულებათა მარეგულირებელი კონვენციების შესახებ.

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ხელის მომწერნი ხელს აწერენ ამ კონვენციას.

შესრულებულია ფენევაში, ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლის ცხრამეტ მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თითო ასლად, თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

ტერმინების განმარტება

contracting country	ხელშემკვრელი სახელმწიფო
cash on delivery (C.O.D)	სახელშეკრულებო პირობა, როდესაც თანხა გადაიხდება საქონლის ფაქტობრივი მიწოდებისას
claim	რეკლამაცია ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა.
consignment notes	იგივეა რაც bill of lading – კონოსამენტი
Convention on Road Traffic	კონვენცია საგზაო მოძრაობის შესახებ
Default	უხეში გაუფრთხილებლობა
frontier traffic	სასაზღვრო ტრანსპორტი (ტრანსპორტირება), თუმცაღა შესაძლოა ექვემდებარებოდეს კონტექსტუალურ კორექტირებას.
Goods	საქონელი;
Insufficiency or inadequacy of marks or numbers on the packages	საქონლის ნიშანდება ან ნუმერაცია არასრულად ან არასათნადოდაა გაკეთებული
is carried over part of the journey	გზის ერთ მონაკვეთზე გადაზიდული/გადატანილია.
judgement by default	სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება
plaintiff	მოსარჩელე

settlements confirmed by an order of the court	სასამართლოს წინაშე მორიგება
shall accompany the goods	თან ერთვის საქონელს;
shift the burden of proof	მტკიცების ტვირთის გადასვლა/ცვლილება
trailers and semi-trailers	საწვევარა და ნახევრად საწვევარა სატვირთო ავტომობილები.
unless security has been furnished by the consignee	გადამზიდველის მიმართ უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენამდე.
wilful misconduct	ნაკისრი ვალდებულების განზრახი შეუსრულებლობა.